პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 ივლისი ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 170 (14774)

სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად

ეკონომია. მოგება

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისა და სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად გადაწყვიტა: პროდუქციის რეალიზაციის დავალება შეასრულოს 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით დაამზადოს 30 ათასი მანეთის პროდუქცია, მიიღოს 10 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდოს 1,5 პროცენტით, დაზოგოს 5 ტონა ლითონი.

პატრიოტული სიტყვა

თბილისის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ. მოწინავე საწარმოების კოლექტივები ამ დღეებში გამართულ მიტინგებზე კვლავ კისრულობენ სოციალისტურ ვალდებულებებს ყრილობის აღსანიშნავად.

თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკა: მიმდინარე წელს გამოუშვებს 30 ათასი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერებას გაადიდებს 0,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს 5 ათასი მანეთით, 1971 წლის 1 კვარტალში კი 1.000 მანეთით.

პარტიის ყრილობისათვის დაზოგავს 1.700 კილოგრამ ძირითად ნედლეულს, 600 კვადრატულ მეტრ სიგარეტის ქაღალდს, 400 კილოგრამ სამუნდშტუკე ქაღალდს, ას კილოგრამ ფოლგას, ორმოც ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას. წელს რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაზოგავს 100 ათას მანეთს. მომავალი წლის პირველ კვარტალში კი 25 ათას მანეთს.

დანერგავს პაპიროსის წარმოების ორ ნახევრადავტომატურ ნაკადურ ხაზს, დაამონტაჟებს დაჭრილი თამბაქოთი საპაპიროსე მანქანების პნევმატური ჩატვირთვის ხაზს, აითვისებს და საექსპლოატაციოდ გადასცემს „აზ-2“ ტიპის ფილტრიანი სიგარეტის ორ ახალ მანქანას, დაამონტაჟებს და საექსპლოატაციოდ გადასცემს „დუსის“ მარკის სიგარეტის ჩასაწყობ მანქანას.

თბილისის კერამიკული კომბინატი: წინათ ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით გამოუშვებს 8 ათას კვადრატულ მეტრ ფირად ფილას, თეთრი ფილების ნაცვლად, აითვისებს 10 სახეობის ახალ პროდუქციას, გამოუშვებს 10 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკის ნაწარმს.

დაზოგავს 10 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 100 ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს, დამატებით დადგამს ერთ სატურატორს წყლის დაგაზიანებისათვის.

(საქდესი).

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

21 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ო. კობახია, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. ნ. თოიძე, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ბ. ჯიოევი, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ზ. ი. ზაუტაშვილი, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შ. ი. ბერძენიძე, საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი დ. ა. ნოზაძე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი ი. რ. ხვედელიანი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ა. ე. ჭითანავა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ბ. ღვინჯილია, საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. ბზიშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ა. კობაიძე, საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი გ. დ. ყიფიანი, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ბ. ს. ქობულია, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ი. მ. ხოხლოვი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა პატრიოტული ინიციატივა რესპუბლიკის, ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისა, რომლებიც მოსკოვის მოწინავე კოლექტივების მაგალითისამებრ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ მომავალი XXIV ყრილობის აღსანიშნავად.

პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო დადგენილება, რომელიც ქვეყნდება გაზეთის დღევანდელ ნომერში. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის მოწინავე კოლექტივების მაგალითით რესპუბლიკის ბევრი საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გულდასმით აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და რეზერვები და თავიანთ კრებებსა და მიტინგებზე იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი პარტიის მომავალი ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

შეჯიბრების მონაწილეთა მთავარი მეცადინეობა მრეწველობაში მიზნად ისახავს, რომ თვითეულმა მუშამ ვადამდე შეასრულოს 1970 წლის საწარმოო დავალებანი, ხოლო წლის დამლევამდე დარჩენილ დროში გამოიმუშაოს ზეგეგმითი პროდუქცია.

მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ მნიშვნელოვნად გადააჭარბონ სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმებს, ამუშავებენ კონკრეტულ ღონისძიებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მიერ მიღებული სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მხურვალედ იწონებს მოწინავე კოლექტივების ამ შესანიშნავ ინიციატივას და ავალებს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ფართოდ გაავრცელონ მოწინავეთა თაოსნობა და სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. კომუნისტების, ყველა მშრომელის მეცადინეობა მოახმარონ იმას, რომ თვითეული საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრონ 1970 წელი და ხუთწლედი მთლიანად. ამისათვის დარაზმონ მთელი რეზერვები, ბეჯითად დანერგონ მომჭირნეობის რეჟიმი, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები; აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესონ მისი ხარისხი, გამუდმებით სრულყონ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა; მტკიცედ დაძლიონ სიძნელენი და ნაკლოვანებანი, ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ ორგანიზებულობა და დისციპლინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ მოწინავე კოლექტივების ინიციატივას უაღრესად ფართოდ გამოეხმაურებიან ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელნი და ყველაფერს იღონებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

მაკრეულელთა მინდვრებში

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს პურეულის მოსავლიანობის სიუხვისათვის ბეჯითად ამუშავეს მარნეულის რაიონის მშრომელებმა.

მკა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს არაფლოს საბჭოთა მეურნეობაში. ზოგან ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერ ხორბალს იღებენ. კომბაინერთა შორის გამოჩენილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არავის უთმობს წერეთლის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერი ვ. სამხარაძე.

სურათზე: (ზევით) **წერეთლის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომბაინერი ვ. სამხარაძე,** (ქვემოთ) **პურეულის მკა არაფლოს საბჭოთა მეურნეობაში.**

ფოტო მ. თელიაშვილისა.



ოქმი ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა,

რომლებსაც აღაფრთოვანებს გულწრფელი სურვილი კვლავაც ავითარებდნენ და განამტკიცებდნენ ორივე ქვეყანას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთნდობის ურთიერთობას,

გადაწყვეტეს ხელი მოაწერონ ამ ოქმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ და ამ მიზნით თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო,

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვაინიო ლესკინენი,

რომლებიც სათანადო ფორმითა და სრული წესრიგით შედგენილ თავიანთ უფლებამოსილებათა გაცვლის შემდეგ შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება ძალაში რჩება მომდევნო ოცი წლისათვის ამ ოქმის ძალაში შესვლის მომენტიდან.

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ზემოაღნიშნული ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე უარს არ იტყვის ხელშეკრულებაზე, იგი ძალაში რჩება მომდევნო ხუთ წელიწადს და ასე ყოველთვის, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე მომდინარე ხუთწლეულის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე წერილობით არ გააფრთხილებს მეორე მხარეს რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 2.

ეს ოქმი უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც მოხდება ქალაქ ჰელსინკში შესაძლო მოკლე ვადაში. რის დასადასტურებლად რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს და დაუსვეს მას თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია ქალაქ მოსკოვში 1970 წლის 20 ივლისს ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ფინურ ენებზე ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ა. გრომიკო

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით
ვ. ლესკინენი

სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა,

რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება შეეხამება ორივე ქვეყნის საარსებო ინტერესებს,

სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით,

ითვალისწინებენ რა ფინეთის მისწრაფებას არ ჩაერიოს დიდ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობებში და

გამოთქვამენ რა თავიანთ განუხრელ მისწრაფებას ითანამშრომლონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად,

გადაწყვეტეს ამ მიზნით დადონ ეს ხელშეკრულება“.

ხელშეკრულება შეიცავს რვა მუხლს, სახელდობრ:

მუხლი 1.

იმ შემთხვევაში, თუ ფინეთი ან საბჭოთა კავშირი ფინეთის ტერიტორიის გავლით, გახდებიან გერმანიისა თუ რომელიმე მისი მოკავშირე სახელმწიფოს სამხედრო აგრესიის ობიექტი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავისი მოვალეობის ერთგული ფინეთი იძრძოლებს აგრესიის მოსაგერიებლად. ამასთან ფინეთი მთელ თავის ძალებს მოახმარს თავისი ტერიტორიის შეუვალობის დაცვას ხმელეთზე, ზღვაზე და საერში, იმოქმედებს თავისი საზღვრების ფარგლებში ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად, და, თუ საჭირო გახდა, საბჭოთა კავშირის დახმარებით ან მასთან ერთად.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საბჭოთა კავშირი ფინეთს გაუწევს საჭირო დახმარებას, რომლის შესახებ მხარეები შეუთანხმდებიან ერთმანეთს.

მუხლი 2.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები მოეთათბირებიან ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა სამხედრო თავდასხმის საფრთხე, რომელიც გათვალისწინებულია 1 მუხლით.

მუხლი 3.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ თავიანთ განზრახვას გულწრფელად მონაწილეობდნენ ყველა ღონისძიებაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 4.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ ვალდებულებას არ დადონ რაიმე კავშირი ან მონაწილეობა არ მიიღონ ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციებში, რომელსაც შეიცავს პარიზის 1947 წლის 10 თებერვლის საზავო ხელშეკრულების მე-8 მუხლი.

მუხლი 5.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ თავიანთ მტკიცე გადწყვეტილებას იმოქმედონ თანამშრომლობისა და მეგობრობის სულისკვეთებით, რათა კიდევ უფრო განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის.

მუხლი 6.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას იმოქმედონ მათი სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემის, აგრეთვე მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით.

მუხლი 7.

ეს ხელშეკრულება განხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 8.

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში იქნება ათ წელიწადს ძალაში შესვლის დღიდან. ხელშეკრულება ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან, რაც ჰელსინკში მოხდება უმოკლეს ვადაში.

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ზემოაღნიშნული ათი წლის ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე უარს არ იტყვის ხელშეკრულებაზე, იგი ძალაში დარჩება ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადს, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე მომდინარე ხუთწლეულის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე წერილობით არ გააფრთხილებს მეორე მხარეს, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

ამის დასადასტურებლად რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს ამ ხელშეკრულებას.

შედგენილია ქალაქ მოსკოვში, 1948 წლის 6 აპრილს, ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ფინურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს“.

• • •

1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცა 1948 წლის 30 აპრილს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — 1948 წლის 11 მაისს და ძალაში შევიდა 1948 წლის 31 მაისს.

1955 წლის 19 სექტემბერს ხელი მოაწერეს ოქმს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის 20 წლით გაგრძელების შესახებ.

ახალ ოქმს ხელშეკრულების ვადის შემდგომი 20 წლით გაგრძელების შესახებ ხელი მოაწერეს 1970 წლის 20 ივლისს. (საკდესი).

უ. კ. კეკონენის სიტყვა

რამდენადაც ჩემი ვიზიტი საბჭოთა კავშირში მოეწყო საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იუბილეს წელს, თქვა უ. კ. კეკონენმა, მე შევძელი ყველგან დაგრწმუნებულიყავი, რა დიდად აფასებენ მის ხსოვნას და რა ცენტრალური ადგილი უჭირავს მის იდეებს ჩვენი დროის საბჭოთა კავშირში. ძალაყოფილებით გავიგე, რომ საბჭოთა კავშირში აპირებენ მომავალ შემოდგომაზე ოფიციალურად აღნიშნონ პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის დაბადების 100 წლისთავი. ამისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ჩვენი ვიზიტის განმავლობაში შესაძლებლობა გვქონდა განგვეხილა ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხები, აგრეთვე ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა აზრები აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

უწინარეს ყოვლისა მინდა ხაზი გავუსვა, რომ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აქ გამართულ საუბრებს, ისევე როგორც მიღებულ პრინციპულ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია საქონელგაცვლისა და ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის. ფინეთი ცდილობს ვააფართოოს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან.

როცა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან წინა შეხვედრის დროს აღიძრა საკითხი, რომ საჭიროა ვადა გავუგრძელოთ ფინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ისე, რომ არ დავველოდოთ მისი ვადის გასვლას — 1975 წლის დამლევს, მე პირდაპირ გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ თუ ხელშეკრულებას ახლანდელი ფორმით გაგრძელებთ ვადას, მას, ფინეთის პარლამენტი, ცხადია, ერთსულოვნად მოიწონებს. ეს ჩემი აზრი ეყრდნობოდა, ბუნებრივია, შეხედულებას, თუ როგორია ფინეთის ინტერესები ამჟამად საერთაშორისო თვალსაზრისით. ფინეთის თვალსაზრისით საჭიროა ყველასათვის ნათელი იყოს, რომ ჩვენი ქვეყნის პოზიცია ყოველგვარი შესაძლო სპეკულაციის გარეშეა. იმით, რომ ვადას გავუგრძელებთ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას ვა, ამრიგად, განვამტკიცებთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობას, ჩვენ მივაღწევთ ამ მიზანს.

ჩვენს შეთანხმებაში გათვალისწინებულია ფინეთის მისწრაფება კვლავ განზე ედგას დიდი სახელმწიფოების ინტერესთა წინააღმდეგობებს. ეს გამოხატავს ფინეთი ხალხის ძირითად დამოკიდებულებას საერთაშორისო ცხოვრებისადმი. და ამას ემყარება ფინეთის ნეიტრალიტეტის საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკა, რომელმაც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საერთაშორისო აღიარება და მაღალი შეფასება მოიპოვა.

ჩვენი ნეიტრალიტეტის ძლიერი დასაყრდენია ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც მტკიცე საძირკველს უქმნის ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ამავე დროს ითვალისწინებს ფინეთის მისწრაფებას — ახორციელებდეს ნეიტრალიტეტის ხაზს საერთაშორისო პოლიტიკის დარგში.

შეიძლება ითქვას, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ის გრანიტია, რომელზეც კიდევ უფრო მტკიცედ იგებდა ფინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა. და ეს განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობას.

პრაქტიკული გამოცდილება ამტკიცებს, რომ როცა საერთაშორისო საკითხებში გახორციელებთ ნეიტრალი-

(დასასრული მე-2 გვ.).

გულითადობის ვითარებაში

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ურხო კალევა კეკონენმა** 20 ივლისს საუზმე გამართა ფინეთის მოსკოვის საელჩოში.

საუზმეზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი** და სხვები.

საუზმეს დაესწრნენ ფინეთის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც პრეზიდენტს ახლავან.

სტუმრებს სიტყვით მიმართა **ურხო კალევა კეკონენმა.**

XXIV

მეგობრობის ვითარებაში

(დასასრული)

ტეტის პოლიტიკას, ჩვენ ამავე დროს წარმატებით განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის პოლიტიკას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების შესაბამისად; ჩვენ მზად ვართ კვლავაც განვავითაროთ ეს ჩვენი მეგობრობის ხაზი, ამასთან ვითვალისწინებდეთ ფრივე ქვეყნის ინტერესებს. შემდეგ, პრაქტიკული გამოცდილება ამტკიცებს, რომ ჩვენ შევძელით გაუნუხრელად განვვეითარებინა და გაგვეფართოებინა ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნეიტრალიტეტი ჩვენი უშიშროების პოლიტიკის ძირითადი ხაზია, ვცდილობთ განსვ ვედეთ შესაძლო საერთაშორისო კონფლიქტებს. მაგრამ ამავე დროს ჩვენ მუდამ ვიცავთ ჩვენი ხალხის ძველთაგანვე დამახასიათებელ პრინციპებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია — შეუსარულოთ მიცემული სიტყვა. ამის შესაბამისად ჩვენ მუდამ კეთილსინდისიერად ვახორციელებთ ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა

ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ფინელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

ეს-ეს არის ხელი მოვაწერეთ ოქმს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის მომდევნო 20 წლით წინასწარი გაგრძელების შესახებ. ეს, უეჭველია, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტია არა მარტო ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობისათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობისათვის და უწინარეს ყოვლისა ევროპაში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირსა და ფინეთს შორის 1948 წლის ხელშეკრულება დიდი ნიშანსვეტი იყო ომისშემდგომ ევროპაში ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის მოგვარების გზაზე. იგი გახდა ერთ-ერთი ბრწყინვალე და შესანიშნავი დოკუმენტი, რომელშიც ხორცი შეესხა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს. მან მკაფიოდ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი ერთგულად ასრულებს დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში თანასწორობის კეთილშობილურ პრინციპს, კონკრეტულად გამოხატა ჩვენი ქვეყნის მისწრაფება დაამყაროს მტკიცე კეთილმეზობლური თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულების 20 წელზე მეტი ხნის მოქმედებამ მთელი დამაჯერებლობით დაადასტურა მისი ეფექტიანობა, გვიჩვენა მისი დიდი შესაძლებლობანი. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა ძირეული შემობრუნება საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ურთიერთობაში, შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის მყარი ტრადიციები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებდნენ და ახორციელებენ ფინეთთან მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების ვალდებულებებს. ეს ეფუძნება ლენინურ ფილოსოფიას, ეფუძნება ხალხთა ურთიერთგაგებისა და ნდობის ინტერესებს. ეს ეფუძნება ჩვენ ორივე ქვეყნის ინტერესებს, ეფუძნება ევროპის ინტერესებს.

მსოფლიო დღეს

ემბარგოს დამრღვევნი

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საკ-დესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო განაგრძობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს დარღვევის საკითხის განხილვას.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

◆

ინგლისის წარმომადგენელმა, რომელიც ცდილობდა ფაქტების საწინააღმდეგოდ დაერწმუნებინა უშიშროების საბჭო, თითქოს დიდი ბრიტანეთი არ არღვევდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს. მისი თქმით, „იარაღის ის შეზღუდული სახეობანი", რომლებსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იღებდა და კვლავაც მიიღებს ინგლისის მთავრობისაგან, თითქოს საჭირო იყოს „სამხრეთ აფრიკის გარშემო საარსებოდ დიდნაშვნელოვანი საზღვაო გზების უშიშროების უზრუნველყოფისათვის".

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა განის წარმომადგენელმა, რომელმაც განაცხადა, ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება კვლავ მიჰყიდოს იარაღი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, „ცინიკურიაო".

თავისი მფარველების ზრუნვით, რომლებიც არღვევენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, თქვა შემდეგ განის დელეგატმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას აქვს ტანკები, თვითმფრინავები, რაკეტები. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ძლიერება უკვე უქმნის საფრთხეს აფრიკის მეზობელ სახელმწიფოებს.

განის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მთავარი მიმწოდებლები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები არიან. „მაშინ როცა სოციალისტური ქვეყნები ზუსტად ასრულებენ ემბარგოს, დასავლეთ ევროპის ქვეყნები კვლავ არღვევენ მას", — განაცხადა მან.

განის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ დაკმინ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდების ემბარგოს დარღვევის პრაქტიკა, შექმნან ეფექტიანი ბარიერი, რომელიც თავაღურს აღუვენებს ემბარგოს პირობების შესრულებას.

შესვენების შემდეგ უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს სიერა-ლეონეს, ნეპალისა და პაკისტანის წარმომადგენლებმა. საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება დღეს, 22 საათზე მოსკოვის დროით.

ცეილონი—სუვერენული, დამოუკიდებელი რესპუბლიკა

კოლომბო, 20 ივლისი. (საკდესი). **ცეილონის მთავრობამ, რომელსაც მეთაურობს გაერთიანებული ფრონტის ლიდერი სირიმავო ბანდარანაიკე, მიიღო გადაწყვეტილება ცეილონი გამოაცხადოს „თავისუფალ, სუვერენულ და დამოუკიდებელ რესპუბლიკად".** როგორც ცნობილია, დღემდე ცეილონი ფორმალურად ითვლებოდა ბრიტანეთის დომინიონად. შეიტანა რა პარლამენტში რეზოლუცია დამფუძნებელი კრების შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ახალი კონსტიტუცია, პრემიერ-მინისტრმა სირიმავო ბანდარანაიკემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველად ცეილონის ისტორიაში კონსტიტუციაში შეტანილი იქნება მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

ცეილონის პრესა მიესალმება დამფუძნებელი კრების შექმნას. ცეილონის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ფორვარდი" წერს, რომ 19 ივლისი „ისტორიული დღეა ცეილონელი ხალხის ისტორიაში".

ლეიბორისტები მოითხოვენ

ლონდონი, 21 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. დრიანლოვი გვატყობინებს:

ლეიბორისტული პარტიის ბევრი ადგილობრივი ორგანიზაცია მოითხოვს გადასინჯონ პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკური ხაზი, შეიმუშაონ კურსი, რომელიც შეუსაბამება ინგლისელ მშრომელთა ინტერესებს. ამას მოწმობენ რეზოლუციები, რომელიც წარუდგინეს განსახილველად ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციას. კონფერენცია გაიხსნება 28 სექტემბერს ბლეკპულში.

შეფილდისა და ბირმინჰემის ლეიბორისტულ ორგანიზაციათა რეზოლუციებში აღნიშნულია, რომ ლეიბორისტთა დამარცხება არჩევნებში გამოიწვია ვილსონის მთავრობის ეკონომიურმა კურსმა, „რომელიც მუშათა კლასის ხარჯზე ცდილობდა ქვეყნის ფინანსური სიძნელეების დაძლევას".

ლივერპულის ლეიბორისტები მოითხოვენ „აღორძინონ სოციალისტური პრინციპები" და პარტიულ პროგრამაში შეიტანონ 280 სამრეწველო მონოპოლიის, კერძო ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ნაციონალიზაციის გეგმა.

ბევრ საგარეო-პოლიტიკურ რეზოლუციაში გადაჭრით გმობენ იმას, რომ კონსერვატიული მთავრობა აპირებს განუახლოს იარაღის მიწოდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს. დორკინგის ლეიბორისტული ორგანიზაცია მოუწოდებს ყველაფერი იღონონ, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოიწვიონ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირი.

გაფიცულთა მხარდასაჭერად

ლონდონი, 21 ივლისი. (საკდესი). ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესმა მხარი დაუჭირა ინგლისის გაფიცულ დოკერებს. გუშინ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ დოკერთა მოთხოვნები ხელფასის გარანტირებული მინიმუმის გადიდების შესახებ სავსებით შეესაბამება ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გამოცხადებულ კურსს, რომ „მიღწეულ იქნეს მშრომელთა ხელფასის მისაღები გარანტირებული მინიმუმი".

ინგლისის 47 ათასი ნავსადგურის მუშის საერთო-ეროვნულ გაფიცვას, რომელიც მეშვიდე დღეა გრძელდება, სავსებით უჭერენ მხარს დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დოკერები. გაფიცულთ სოლიდარობა გამოუცხადეს დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, შვეიცის დოკერებმა.

სტიქიური უბედურება ინდოეთში

დელი, 21 ივლისი. (საკდესი). ტრაგიკული დღეებია ინდოეთის ასამის შტატში, სადაც უმაგალითო წყალდიდობა მოხდა. ადიდებულმა ბრაჰმაპუტრამ დიდი ზიანი მიაყენა ბრინჯის, ჩაისა და ჯუთის პლანტაციებს. წინასწარი მონაცემებით წყალმა დატბორა ნათესების მთელი ფართობის მესამედი. მდინარეების ადიდების შედეგად დაზარალდა შტატის თითქმის მილიონი მცხოვრები. 10.000 კაცი უსახლკაროდ დარჩა. შეწყდა მიმოსვლა ასამის მთავარ ავტოსტრადაზე.

ბიპარის შტატში დაიტბორა ათასზე მეტი სოფელი და დაინგრა ორი ათასამდე საცხოვრებელი სახლი. როგორც ინდოეთის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ბიპარის მეზობელ ნეპალის რაიონებში წყალდიდობამ იმსხვერპლა ორასამდე კაცი.

სსრ კავშირის მთავრობის მიმართვა ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი

მიმდინარე წლის 18 ივლისს გრინვიჩის დროით დაახლოებით 14 საათსა და 45 წუთზე ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში, რომლის საორიენტაციო კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 62 გრადუსი და 25 მინუტი, დასავლეთის გრძედის 29 გრადუსი და 25 მინუტი, დაიჯარგა კავშირი საბჭოთა თვითმფრინავთან (ან-22 „ანთეუსთან" (ბორტის № 09303), რომელიც კეფლავიკის (ისლანდია) აეროდრომიდან გაფრინდა პერუში და მიჰქონდა ტვირთი — სამედიცინო მოწყობილობა მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

საბჭოთა კავშირის მთავრობა სთხოვს ყველა ქვეყნის მთავრობებს, რომელთა ხომალდები და თვითმფრინავები იყვნენ ან არიან შემთხვევის ნავარაუდევი რაიონის ახლოს, დაეხმარონ თვითმფრინავის ძებნასა და ეკიპაჟის გადარჩენაში ან თვითმფრინავის ძებნასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაციის გადაცემაში.

ძმური დახმარება

ლიმა, 21 ივლისი. (საკდესი). პერუს დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტში ჩამოვიდა კიდევ ოთხი საბჭოთა თვითმფრინავი, მათ შორის ორი „ან-22" „ანთეუსი". მათ ჩამოიტანეს ვერტმფრინავი საველე ჰოსპიტლის მომსახურებისათვის, მედიკამენტები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა მოწყობილობა.

ექიმების ჯგუფი და ახალგაზრდული სამედიცინო რაზმი, რომელიც შედიან მთასვლელები, უკვე გაემგზავრნენ უაიალასის ხეობაში. იქვე იგზავნება საველე ჰოსპიტალიც, რომელიც საჭირო დახმარებას გაუწევს მიწისძვრის მსხვერპლთ.

მემარცხენე ძალების წარმატება პისტოიაში

რომი, 21 ივლისი. (საკდესი). კომუნისტი ფრანჩესკო ტონი არჩეულია იტალიის უდიდესი ქალაქის პისტოიას (ტოსკანის ოლქი) მერად, ამას იუწყება გაზეთი „უნიტა". ხელისუფლების საქალაქო აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობაში შედიან კომუნისტები და იტალიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები.

პისტოიას პროვინციული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია სოციალისტი ვინჩენცო ნარდი.

ხუთასზე მეტი ხანძარი

ოტავა, 21 ივლისი. (საკდესი). ხუთასზე მეტი ხანძარი მძვინვარებს პროვინციია ბრიტანეთის კოლუმბიის ტყის მასივებში. მარტო გასული კვირის დამლევს გაჩნდა ასზე მეტი ახალი კერა, მათგან 35 — მეხის დაცემისაგან.

22 ივლისი პოლონეთის აღორძინების დღეა

მარადიული ქალაქი

გდანსკის ყურის ნაპირზე თუ მოხვდით, არ გაგიკვირდეთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ალმიანი გემები, ვეტერპლატეს ნახევარკუნძულს რომ ჩაუვლიან, სირენით მიესალმონ ზღვაში შეჭრილ პატარა მიწას. ასეთი სალუტი არც ერთ საზღვაო წესდებაში არ წერია, მაგრამ იგი დამკვიდრდა იმ რამდენიმე ათეული კაცისაგან შემდგარი პოლონური გარნიზონის პატივსაცემად, რომელმაც სწორედ აქ 1939 წლის 1 სექტემბერს თავის თავზე მიიღო მიტლერელთა პირველი დარტყმები და სისხლიან, უთანასწორო ბრძოლაში გმირულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს.

აქ აფეთქდა მეორე მსოფლიო ომის პირველი ბურავები, და მისი პირველი მსხვერპლის ხსოვნის ალანიშნავად მიცვეულ სალუტებს დღეს, პოლონეთის აღორძინების დღესასწაულის წინ, განსაკუთრებული, მე ვიტყოდი, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

პოლონეთის მიწის მეორე ბოლოში — ვროცლავში, ქალაქის სამხრეთ ნაწილში, კშიკის რომ უწოდებენ, არის კიდევ ერთი ქუჩა, რომელიც ძველებურად თვითეული პოლონელისათვის — მემორიალური სასაფლაო, სადაც ომის უკანასკნელ დღეებში დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების ფერფლი განისვენებს.

754 საფლავი.

და თვითეულ მათგანზე წლის ყოველ დროს ცოცხალი ყვავილებია.

ქალაქი, რომელიც გერმანელებმა „ფესტუნგ ბრესლაუდ" (ბრესლაუს ციხე-სიმაგრე) აქციეს, ალყაშემორტყმული იყო თითქმის სამი თვის განმავლობაში — 1945 წლის 15 თებერვლიდან 6 მაისამდე.

— ეს მძიმე სამი თვე იყო, — იგონებს პოლონეთში სტუმრად მყოფი პოლკოვნიკი მახოვი, ვროცლავის ბრძოლის მონაწილე. — დაახლოებით იქ, სადაც ახლა ვდგავართ და სადაც ახლა სასაფლაოა, 1945 წლის 11 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა, რომლებმაც ვროცლავის სამხრეთით და ჩრდილოეთით ოდრა გადალახეს, რკალი შეკრეს. გაიმართა ქუჩის ბრძოლები, გერმანელები მთელ კვარტალებს ანადგურებდნენ. და აქაც, ოდრაზე, ისე როგორც ვისლასა და დონზე, ჰიტლერელები გადამწყვარი მიწის პოლიტიკას ახორციელებდნენ.

მივყვებით საფლავებს.

— აი, წაიკითხეთ: „უფროსი ლეიტენანტი კლიმოვი, 19. 2. 1945". უფროსი ლეიტენანტი ინჟინერი კლიმოვი პარკის სამხრეთ ნაწილთან გამავალი რკინიგზისათვის ბრძოლაში დაიღუპა. გერმანელებმა გაამაგრეს ღ დანაღმეს ვიადუკი. ტანკები რომ გასულიყვნენ, საჭირო იყო მისი განნაღმვა. ოთხი მესანგრე უფროსი სერჟანტის, სამი დიდების ორდენის კავალერის მეთაურობით დავალების შესასრულებლად გაემართა. მათგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა, ბარიკადი კი გაუნაღმავი დარჩა. მაშინ უფროსი ლეიტენანტი კლიმოვი სამ მესანგრესთან ერთად თვითონ წავიდა ვიადუკზე. იგი განნაღმეს, ტანკებს გზა გაუხსნეს, მაგრამ კლიმოვი დაიღუპა.

ჩვენ არ ვიცით ყველა იმ გმირთა ცხოვრებისა და დაღუპვის ისტორია, რომლებიც ვროცლავისათვის იბრძოდნენ. მიუხედავად ამისა, ქალაქის მცხოვრებლები დიდად სცემენ პატივს მათს ხსოვნას. და ეს მარტო მათი საფლავების მზრუნველი მოვლით როდი გამოიხატება. თვითანთი ყოველდღიური შრომით ვროცლავის მცხოვრებლები მათ მარადიულ ძეგლს უდგამენ — ისინი აშენებენ ახალ სოციალისტურ ქალაქს.

ამას წინათ ვროცლავში სტუმრად იყო ქალაქის ერთ-ერთი განმათავისუფლებელი, ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცი პოლტაველი ვ. მელნიკი. მას კარგად, ძალიან კარგად ახსოვს ის, რაც ამ 25 წლის წინათ თავს გადახდა. ჩ მაისს, ბრძოლების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე, მას ნაღმი აუფეთქდა. ვროცლავი მის მეხსიერებაში დარჩა დანგრეული, გადაბუგული. ახლა კი მან ნახა დიდი ქალაქი, სადაც მძლავრად იგრძნობა ცხოვრების მაჯისცემა.

ჯარისკაცს სურდა ენახა ის ადგილი, სადაც ნაღმის აფეთქების დრო დაიბერა.

— მახსოვს, პატარა თხრილი იყო დიდი შიშველი მინდვრის გარშემო, — იგონებს იგი. — თხრილს გადავატი და... მარცხიანად ზედ ნაღმს დავატი.

ჩვენ მივაგენით იმ ადგილს. მაგრამ სადღაა ის უკაცრიელი ველი. ირგვლივ აღმართულია ქარხანა „ელვროს" თანამედროვე შენობები. აქ იქმნება გამომთვლელი მანქანები, ავტომატური ხელსაწყოები მრეწველობისათვის, ტელევიზორის ნაწილები. როცა ქარხანაში მივედით, გავიგეთ, რომ პროდუქციის დიდი ნაწილი აქედან საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იგზავნება, მათ შორის უკრაინაშიც, საიდანაც მეოთხედი საუკუნის წინათ ვროცლავში მოვიდა საბჭოთა ჯარისკაცი მელნიკი.

ქარხანაში მუშათა ჯგუფთან საუბარი გაიმართა. ახალგაზრდებს ომი არ ახსოვთ. ისინი მეტწილად ომისშემდგომ წლებში არიან დაბადებულნი. სუნთქვაშეკრული ისმენდნენ ახალგაზრდები იმ ძნელბედობის ამბავს.

ჯგუფში ხანშიშესულნიც იყვნენ. ისინი, რომლებიც ალყაშემორტყმულ ქალაქში დარჩნენ, ასრულებდნენ რა ბრძანებითს სამუშაოს, მათ მიტლერელთა ბრძანებით უნდა დენგრიოთ ქალაქი, რათა მის ცენტრში აეროდრომი მოეწყოთ.

ქალაქის ცენტრში მთელი კვარტალების დანგრევის შედეგად წარმოშობილ უდაბურ ადგილზე, დღეს გრიუნვალდის ვრცელი, ლამაზი მოედანია. მას გარშემო აერავს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის შენობები ოდრის ნაპირზე, კეთილდღისა და მშვიდობის ხიდებს შუა ახალი საოლიმპიადო ცენტრის შენობებია აღმართული. [illegible] ... ადგილი, სადაც ომ ... ლი და ჰაბუკი სწავლობს.

ვროცლავის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ამზადებენ კადრებს „ელვროს", „დოლმელის", „პაფაგის" ქარხნებისათვის, სპილენძის საბადოებისათვის, ტუროშუვის კომბინატისათვის, ვროცლავისა და ქვემო სილეზიის ბევრი სხვა სამრეწველო საწარმოსათვის.

ქალაქის სამხრეთ ნაწილში, საბჭოთა მეომრების სასაფლაოს ცენტრალური ხეივნის შესასვლელში კვარცხლბეკზე დგას ტანკი, რომელსაც აწერია ნომერი 217. ჩვეულებრივი „ტ-34". ათასობით ასეთმა საბრძოლო მანქანამ გაიარა მაშინ პოლონეთის მიწაზე. ეს კი აქ დარჩა, სამუდამოდ. მისი მემეზნე იყო სერჟანტი ნეჩაევი. ვროცლავში იგი ომის გრძელმა გზამ მოიყვანა, რომელიც კურსკთან დაიწყო. უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც ტანკის ეკიპაჟი მონაწილეობდა, გაიმართა პრუზნიკის ქუჩაზე 1945 წლის 27 თებერვალს. სერჟანტი ნეჩაევი დაიღუპა. როცა ჩვენ ქალაქში ვბრუნდებოდით, ტანკთან მოსწავლეთა ჯგუფი იდგა, მასწავლებელი მათ 1945 წლის ამბებს უყვებოდა.

ამჟამად ვროცლავის 500 ათასი მცხოვრებიდან ნახევარზე მეტი ახალგაზრდობაა, რომელიც ომის შემდეგ დაიბადა. ქალაქის სამრეწველო პროდუქცია ბევრად აღემატება წარმოების ომამდელ დონეს.

დღეს სადაც უნდა მოხვდეთ ქვემო სილეზიაში, ყველგან ნახავთ ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან შრომაში არიან ჩაბმულნი. თვით ფერფლიდან აღმდგარი ვროცლავი კი იზრდება და ყოველწლიურად ლამაზდება. ადამიანებს ახსოვთ: აქ გაისმა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ზალპები. მათ ისიც ახსოვთ, რომ აქ, ვროცლავში, 1948 წელს მშვიდობის დაცვისათვის კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე იშვა მოძრაობა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

ალბათ სწორედ ამიტომ არიან ვროცლაველები ახე მონდომებული ახალი ცხოვრების შენებისათვის, რომლის შექმნაშიც ისინი ხედავენ თავიანთ უმაღლეს ვალს იმათ წინაშე, ვინც პოლონეთს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა.

მ. ჟივენი.

ახალი ამბების საგენტო — ინტერპრესი.

ვარშავა.

□ □

ფოტოინფორმაცია

პოლონეთის ტატრებში კრაკოვის სავოეგოდის სამხრეთში განლაგებულია მრავალი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, სასტუმრო და ტურისტული ბაზა. აქ ისვენებს და ჯანმრთელობას იკაჟებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ათასობით მოქალაქე და უცხოელი სტუმარი. სურათზე (მარცხნივ): სასტუმრო „ვიქტორი" დაბა ზეგისტოვ-ზდროიში.

სახალხო პოლონეთში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ფართო პროგრამა ხორციელდება. მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამედიცინო მომსახურების დარგში განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა სოფლად. ახლა თითქმის ყოველ სოფელშია საავადმყოფო, საფერშლო და საფთიაქო პუნქტები. ხშირად ცალკეულ ხუჯორებში მიდიან სანიტარული ავტობუსები. გამცდილი ექიმები აწყობენ მოსახლეობის პროფილაქტიკურ გასინჯვას. სურათზე (ქვემოთ): ოლშტინის სავოეგოდის ხუტორ ბიალუჩინში მივიდა კბილის საექიმო მოძრავი კაბინეტი.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

21 ივლისი

გამოფენა ამსტერდამში

● **ამსტერდამი,** 21 ივლისი. (საკდესი). „ლენინი მოსკოვში" — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ჰოლანდიის დედაქალაქში გაიხსნა. იგი მოეწყო ამსტერდამის მუნიციპალიტეტის ინიციატივით.

გამოფენა გახსნა სსრ კავშირის ელჩმა ნიდერლანდში ვ. ს. ლავროვმა.

ჩამოვიდეს ლაოსში

● **ჰანოი,** 21 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ინოწმებს კაოსან პატეტ-ლაოს სააგენტოს და იუწყება, რომ ლაოხის პატრიოტულმა ძალებმა 25 ივნისიდან 16 ივლისამდე ჩამოაგდეს 9 ამერიკული თვითმფრინავი სარავანის, სავანაკეტისა და სიენკუანგის პროვინციებში.

საალყო წესები კოლუმბიაში

● **ნიუ-იორკი,** 21 ივლისი. (საკდესი). კოლუმბიაში შემოიღეს საალყო წესები. არმიის ქვეგანყოფებმა დედაქალაქში ხელთ იგდეს ყველა საკვანძო პუნქტი. ბოგოტას ქუჩებს პატრულობენ შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცები. მთავრობამ თავის კონტროლს დაუქვემდებარა რადიო და სატელევიზიო ქსელი.

როგორც ბოგოტიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეს ღონისძიებანი განახორციელეს ყოფილი დიქტატურის რობას პინილიას მომხრეთა მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ იმას, რომ ქვეყნის პრეზიდენტად არჩეულმა მისაელ პასტრანა ბორერომ მიმდინარე წლის 7 აგვისტოს დაიკავოს თანამდებობა.

პროფკავშირის ოქროს მედალი — კომუნისტს

● **ლონდონი,** 21 ივლისი. (საკდესი). ერთ-ერთი უხუცესი ინგლისელი კომუნისტი ტრევორ სტოლარდი დაჯილდოებულია ქვეყნის უდიდესი სატრანსპორტო და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირის ოქროს მედლით.

ახალგაზრდა ფლოტის შევსება

● **ალჟირი,** 21 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ალჟირს მიაწვდის 20 სეინერს ალჟირის თევზსაჭერი ფლოტისათვის, რომელიც ახლა იქმნება.

ამ გემებზე დადგმული მოწყობილობა 700 მეტრ სიღრმეზე თევზის ჭერის საშუალებას იძლევა.

სსრ კავშირის მოსახლეობა

ბოლო ინფორმაციით, 1970 წლის 1 იანვრისთვის სსრ კავშირის მოსახლეობა 241 მილიონ ადამიანს შეადგენს. ეს ციფრი 1959 წლის აღწერიდან 32 მილიონ ადამიანით მეტია. ეს ნიშნავს, რომ ბოლო 11 წლის განმავლობაში ყოველ 3 წელიწადში 10 მილიონ ადამიანით მეტი ადამიანი ცხოვრობს ჩვენ ქვეყანაში.

ეს ციფრი ნიშნავს, ასევე, ბუნებრივ მატებას, ანუ ბავშვთა დაბადებასა და ადამიანთა სიკვდილს შორის სხვაობას. ეს ციფრი ნიშნავს, ასევე, ადამიანთა ერთ ადგილიდან მეორეზე, ერთ ქალაქიდან მეორეზე, ერთ ოლქიდან მეორეზე, ერთ ეროვნული რესპუბლიკიდან მეორეზე, ერთ ეროვნებიდან მეორეზე, ერთ ეროვნული ერთეულიდან მეორეზე, ერთ ეროვნული ერთეულიდან სხვა ეროვნულ ერთეულზე, ერთ ეროვნებიდან სხვა ეროვნება

საწარმო ზღვაზე

მს საწარმო ზღვით მოვიდა ბულგარეთიდან კოლხეთის ზღვისპირა ქალაქში. მის საგემბანო თაღზე მოჩანს საპროფილო წარწერა — „საქართველოს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მეურავი ქარხანა“.

ამ ქარხანაში წარმოებს თევზსაჭერი ტრაულერების შეკეთება და სარეზოდ გამზადება. მისი შრომისმოყვარე კოლექტივი (დირექტორი ჯ. თოფურია, მთავარი ინჟინერი ვლ. გუტეკულოვი) 18 დღეღამის ნაცვლად 10-15 დღეში ამთავრებს ტრაულერების პროფილაქტიკურ შეკეთებას. მაგალითად, ტრაულერები „აზიორსკი“ და „რუსლანი“ 8-10 დღით ადრე შეაკეთეს და შორეულ რეისებში გაისტუმრეს. ახლა ისინი რეზვას ატლანტის ოკეანეში აწარმოებენ.

ვადამდე შეაკეთეს აგრეთვე საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „ევენსკი“. მოემზადნენ რეისიდან მომავალი საფლაგმანო ტრაულერის „შოთა რუსთაველის“ მისაღებად.

ქებას იმსახურებენ გამოცდილი მუშები და ოსტატები მ. ხოხელიძე, დ. ერგნა, ი. შევერიოვი, ზ. სიჭინავა, ი. დოროშენკო, ვ. კოლესნიკოვი. მათ ტოლს არ უდებენ ახალგაზრდა მუშა-სპეციალისტები თ. გეგუჩაძე, ბ. კუპრავა, ა. ესაკია, ჯ. ვერსამია და სხვები, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებენ აგრეთვე უმაღლეს ტექნიკურ განათლებას ოდესის საზღვაოსნო ინსტიტუტში.

კ. კომაახიძე.

თეატრალური საზოგადოება აჭარაში

ბათუმი. (საკ. კორ.). გაიმართა რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ რეჟისორები, მსახიობები, კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მუშაკები, პედაგოგები.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების შექმნის თაობაზე დამსწრეთ ესაუბრა საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომიტეტი აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის დ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით. დამფუძნებელი კონფერენცია გაიმართება სექტემბერში.

ახალგაზრდობა დამკვრელურ ობიექტებზე

სტუდენტები ენგურჰესს ეწვივნენ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ენგურჰესის მშენებლობაზე სამუშაოდ ჩამოვიდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 510 სტუდენტი. მათ ზუგდიდის ვაგზალზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. შეხვედრა გახსნა კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჭითანავამ. სტუდენტებს მიესალმნენ: ენგურჰესის მშენებლობის უფროსი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ესაკია, ძალოვანი კვანძის სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. აბაკელია, ენგურჰესის მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ფიფია.

სტუდენტთა სახელით სიტყვა-ზე სიტყვით გამოვიდა რაზმის უფროსი, მეხუთე კურსის სტუდენტი ზ. მაღრაძე.

შეხვედრის შემდეგ სტუდენტთა რაზმის წევრები გაემგზავრნენ ენგურჰესის მშენებლობაზე, სადაც მათ მშენებლობის საკითხებზე ესაუბრნენ კაშალიშენის, ძალოვანი კვანძისა და ვარდნილჰესების სამმართველოების მთავარი ინჟინრები ხ. ემხვარი, უ. გოჯიაშვილი და ო. ჭინჭარაული, აგრეთვე ამავე სამმართველოების უსაფრთხოების ტექნიკის განყოფილებების ინჟინრები ნ. ილიაშკინი, ს. დურწყაია და გ. ფაცურია.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ზაფხულის არდადეგების დროს იმუშავებენ გვირაბებში, ბეტონის სამუშაოებზე, მეორე ჰესისა და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტებზე.

ძალოვანი კვანძის სამმართველოში სტუდენტები 360 ათასი მანეთის სამუშაოს შეასრულებენ, ვარდნილჰესების სამმართველოში — 110 ათასი მანეთისას, ხოლო კაშალიშენის სამმართველოში — 130 ათასი მანეთისას.

სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი ბინით, მათ ემსახურებათ კეთილმოწყობილი სასადილოები, კულტურული დაწესებულებები. სამშენებლო სამუშაოების ჩატარებასთან ერთად სტუდენტები ენგურჰესზე მოაწყობენ ლექცია-საუბრებს, კითხვა-პასუხის საღამოებს. მათთან ჩამოვლენ მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, მოეწყობა ექსკურსიები ზღვაზე და ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად.

სტუდენტები მუშაობას შეუდგნენ.

სურათზე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ-მშენებელთა რაზმს ზუგდიდის ვაგზალზე გულთბილად შეხვდნენ ენგურჰესის მშენებლები.

ფოტო ი. ფუტკარაძისა.

ვ. ქაჯაია

ჯერ კიდევ ნაყოფიერი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ვარლამ ნიკოლოზის-ძე ქაჯაია.**

ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს დაუცხრომლად ემსახურა იგი ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური მეცნიერების განვითარების კეთილმობილურ საქმეს.

ვ. ქაჯაია დაიბადა 1906 წელს მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ ონოღოაში. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სალიტერატურო დარგი. მუშაობდა ჯერ ოზურგეთის პედაგოგიურ ტექნიკუმში, ხოლო 1932 წელს დაინიშნა იმავე რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. 1933 წლიდან ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორია. შემდეგ სწავლობდა ასპირანტურაში. დამთავრების შემდეგ მუშაობდა განსახკომში — ინსპექტორად, უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ბოლოს სამმართველოს უფროსად. კითხულობდა ლექციებს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში, იყო სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტში ხელმძღვანელი თანამდებობაზე, ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში დოცენტად.

ვ. ქაჯაიას ლიტერატურული წერილები ხშირად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მისი რამდენიმე სტატია შესულია რუსულ ლიტერატურულ ენციკლოპედიასა და პედაგოგიურ ლექსიკონში.

ნაჭიერი პედაგოგი-მკვლევარის კალამს ეკუთვნის 130-მდე გამოკვლევა, რომლებიც სწავლა-აღზრდის თეორიისა და ისტორიის აქტუალურ საკითხებს ეხება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფიული შრომების კრებული „ქართველი პედაგოგები“. მისი რედაქტორობითა და ვრცელი შესავალი წერილებით გამოცემულია დიდი რუსი კრიტიკოსისა და მოაზროვნის ბ. ბელინსკის და გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის ა. მაკარენკოს რჩეული პედაგოგიური თხზულებათა ტომეულები. დოცენტ ვ. ქაჯაიას რედაქციით გამოიცა კრებული „სახალხო განათლების ქართული მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, რომელშიც ბევრი მისი შესანიშნავი ნარკვევი შეიდა. ვ. ქაჯაიას თანაავტორობითა და თანარედაქტორობით დამუშავდა და 1956 წელს გამოიცა პედაგოგიკის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის ქართულ ენაზე.

შესამჩნევი ამაგი დასდო ვ. ქაჯაიამ დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის შედგენა-გამოცემის საქმეს. იგი იყო ამ ტომების არა მარტო შემდგენელი, არამედ მასვე ეკუთვნოდა ტომებისათვის დართული ვრცელი კომენტარები. მას მიეგებული ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის მედალი.

ჩვენს შორის ადარ არის ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, მგზნებარე პატრიოტი, კარგი ლექტორი. მეგობარი და ამხანაგი, რომლის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სამეცნიერო განათლების სამინისტრო; განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების კუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოება, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ᲛᲔᲮᲘᲙᲝᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

მიზანსწრაფული, შემტევი ფეხბურთისათვის

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

□

დამთავრდა მსოფლიოს IX ჩემპიონატი ფეხბურთში. თანდათანობით ცხრება მიმდინარე წლის ამ უაღრესად საინტერესო სასპორტო ამბის გარშემო ზნებათა ღელვა, რაც აძლიერებდა მექსიკელ მაყურებლთა მგზნებარე ტემპერამენტი და ტროპიკების ცხელი მზე. დრო ანელებს გამარჯვებულთა სიხარულსა და დამარცხებულთა გულისტკივილს. დგება დრო, როცა სპეციალისტები ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლიან წარსული ჩემპიონატის გამოცდილებას და გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს.

ოთხი წლის წინათ, ფეხბურთში მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ინგლისში გაიმართა, პრესაში ჩვენ გამოვთქვით მოსაზრებანი ფეხბურთის შემდგომი განვითარების შესაძლო გზების შესახებ. საჭიროდ მიგვაჩნია ახლაც გამოვიღოთ პრესაში და აღვნიშნოთ, თუ ზოგიერთი პროგნოზის რეალიზაცია როგორ ხდებოდა ინსამდვილეში, რას შეიძლება მოველოდეთ უახლოეს მომავალში და რა გზით უნდა წავიდეს ჩვენი საბჭოთა ფეხბურთის განვითარება.

მოდით დავუბრუნდეთ 1966 წელს და გავიხსენოთ, ყველაზე მნიშვნელოვანი რა იყო მსოფლიოს ლონდონის ჩემპიონატზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოგვენა, რაც ყველას დაახსომდა მსოფლიოს VIII ჩემპიონატის შემდეგ, უეჭველია იყო ის, რომ შეიცვალა მსოფლიო ფეხბურთის ლიდერი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები (1958, 1962) ბრაზილიელები იძულებული გახდნენ „გვირგვინი“ ფეხბურთში დაეთმოთ ჩემპიონატის მასპინძლებისათვის — ინგლისელებისათვის. თუმცა თავისთავად ფაქტი ლიდერის შეცვლისა, რომელიც რვა წლის განმავლობაში მსოფლიო ფეხბურთის ეტალონი იყო, ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. ძირითადს თამაშის კონცეფციის ჰეგემონის შეცვლა შეადგენდა. მთელი რიგი წლების მანძილზე მსოფლიო ფეხბურთში ჩამოყალიბდა თამაშის ორი კონცეფცია: ლათინურამერიკული, რომლის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ ბრაზილიელები, ურუგვაელები, არგენტინელები და რომელსაც ემხრობოდნენ აგრეთვე ევროპის ისეთი ქვეყნების გუნდები, როგორიც არის იტალია, ესპანეთი, და ევროპული, რომლის ყველაზე დამახასიათებელი გამოხატულება ვნახეთ ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩვენი ფეხბურთელების თამაშში.

ლათინურამერიკული კონცეფციის ძირითადი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ იერიშები იწყებოდა მოედნის თავის ნახევარზე ბურთის ხანგრძლივი გასროლით, ხანგრძლივი გათამაშებით გარდიგარდმო გადაცემთა დიდი სერიის გზით, უმთავრესად მოკლე და საშუალო მანძილზე. წინწაწევის დაჩქარება არ ხდებოდა. ხშირად ბურთს გზავნიდნენ უკან, თუმცა ეს ეწინააღმდეგება ფეხბურთის ძირითად ტაქტიკურ აქსიომებს.

ბურთის ხანგრძლივად გათამაშების დროს შეარჩევდნენ ხოლმე მომენტს, როცა მოთამაშეთაგან რომელიმე იკავებდა ხელსაყრელ პოზიციას მოედნის მოწინააღმდეგის ნახევარზე. ამ მომენტში თამაშის ტემპი და მანერა მკვეთრად იცვლებოდა და იწყებოდა იერიშის დამთავრება დიდი სიჩქარით, ფეხბურთელთა ინდივიდუალური ტექნიკური ოსტატობის უზარმაზარი არსენალის გამოყენებით.

ამრიგად, თამაშისათვის დამახასიათებელი იყო ტემპის არიტმია. რამდენადაც იერიშის პირველი და ყველაზე ხანგრძლივი ფაზა შენელებული ტემპით მიმდინარეობს, შეიძლება მაღალი ტექნიკური ოსტატობის დემონსტრირება მთელი მისი ბრწყინვალებით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბურთის უმწიკვლოდ ზუსტ გადაცემას, მოედნის კარგად დანახვის უნარს და იერიშის განვითარებას უმთავრესად ბურთის და არა მოთამაშეების სისწრაფის ხარჯზე. უამისოდ შეუძლებელია თამაშის ასეთი კონცეფციის რეალიზაცია.

თამაშის ევროპულ მანერას ახასიათებს იერიშის სწრაფი განვითარება ყველა მის ფაზაში, მოთამაშეების შუდმივი მოძრაობა, გრძელი გადაცემების ხშირად გამოყენება, სწრაფი ტემპი. ევროპული მანერით თამაშისათვის საჭიროა: დიდი შრომისუნარიანობა, დიდი სისწრაფისას ბურთის დამუშავების უნარი. სწრაფი კონტრიერიში, ეპიზოდი კი არა, ერთ-ერთი ძირითადი სამუალებაა; აქ ხშირია ბურთის გრძელი გასწვრივი და ირიბი გადაცემები. მაგრამ რამდენადაც იერიშის მთელი განვითარება ძირითადად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ხშირია შემთხვევები ბურთის დაკარგვისა მოედნის საკუთარ ნახევარზე გადაცემების დროს, რაც ძალიან ხშირად ქმნის პირობებს მოწინააღმდეგის საშიში კონტრიერიშებისათვის.

ინგლისში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თითქოს უდავო გამარჯვება მოიპოვა თამაშის ევროპულმა მანერამ. ოთხი პრიზიორიდან სამი (ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სსრ კავშირი) თამაშს ეწეოდა ტიპიური ევროპული სტილით და მხოლოდ პორტუგალია, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა, ერთგვარად უხამებდა ერთმანეთს ევროპულ და ლათინურამერიკულ სკოლებს.

სკოლების ლიდერობის შეცვლა განსაკუთრებით შესამჩნევად დაეტყოთ მოედნის შუაგულის მოთამაშეებს. „დისპეტჩერები“ ბრაზილიელ დიდის ტიპისა, რომელიც იერიშების უმრავლესობის წამომწყები იყო და თამაშის „სულს“ აბამდა თითქმის ადგილის დაუტოვებლად, რამაც მას შეაძლებლობა ხმა ისმინოს ნებისმიერ ადგილიდან კი, როცა წინააღმდეგ ნაბიჯებს ადგილ-ადგილ (ეფექტურად შეესრულებინა თავისი მოვალეობანი, შეეცალეს ბოლისა და ჩარლტონის (ინგლისი), ბეკენბაუერისა და ოვერატის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ტიპის ფეხბურთელებმა. ამ ფეხბურთელებისათვის დამახასიათებელია კოლოსალური შრომისუნარიანობა მთელი თამაშის მანძილზე და მოქმედების ფართო დიაპაზონი.

მაგალითად, ინგლისელთა თამაშის შეფასებისას 1966 წელს ვწერდით, რომ ინგლისელთა გამარჯვება გამართლებული იყო. მათ დაიმსახურეს უფლება მსოფლიოს ჩემპიონები ეწოდებოდეთ. მაგრამ ასეთი გამარჯვება ერთგვარად მოგვაგონებს შემთხვევას, როცა დისერტანტი ხელოვნების ყველა წესის მიხედვით იცავს დისერტაციას და სამეცნიერო ხარისხს იღებს, მისი ნაშრომი კი ამის შემდეგ ბიბლიოთეკების თაროებზე რჩება, ჯდეროობთ, რომ ინგლისის გუნდი ვერ იქნება თანამედროვე ფეხბურთის ეტალონი, თუმცა მან მაღალი კლასი გვიჩვენა.

ჩვენ ვიცდილობდით დაგვენახა არა მარტო ის, რაც შედაპირზე დევს, არამედ ყურადღებით ვუკვირდებოდთ ანალიზს ინგლისელთა სუსტ მხარეებს და ყოველივე ძლიერსა და ახალს, რაც დამარცხებულ ბრაზილიელებს ახასიათებდა.

აი რას ვწერდით დამარცხებული ბრაზილიელების შესახებ („ფუტბოლ“ № 43, 1966 წ., გვ. 10): ზოგჯერ ბრაზილიელთა თამაშში ვხედავდით უაღრესად მაღალი ნიჭის ფეხბურთის მოკლე ფრაგმენტებს: არიტმიას, უეცრობას, დიდ სისწრაფეს (პელე, პარანა)... ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბრაზილიელთა ჰეგემონია დამთავრებულია? ასე თუ ვიფიქრებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი შეცდომა დაეშვა. ბრაზილიელი ფეხბურთის განვითარების საერთო დონე ისეთია, რომ მას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. საკმარისია მეიერდიენი ცვლილებები, და ბრაზილიელებმა შეიძლება კვლავ წინანდელი ბრწყინვალებით გამოიჩინონ თავი. დაცვის ხაზში გაახალგაზრდავება ალბათ დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ბრაზილიელებს ჰყავთ ისეთი დიდი ოსტატები, როგორიც არიან ჯარლოს ალბერტო, რილდო და სხვ. გერსონი ახალგაზრდაა, მაგრამ მომავალი წინ უდევს. იგი მთელი ძალით თუ ათამაშდება, გუნდს სრულფასოვანი დისპეტჩერი ეყოლება. ამოდის ახალი ვარსკვლავი — ედუ. პელემაც ამას წინათ გვიჩვენა „სანტოსისა“ და „ბენფიკას“ თამაშში, რომ იგი მსოფლიოს კვლავ ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად რჩება.

მკითხველს მოვაგონებთ, რომ ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როცა თითქმის ყველა მიმმხილველი ერთსულოვნად აცხადებდა, რომ იწყება ბრაზილიური ფეხბურთისა და ლათინურამერიკული სკოლის მზის ჩასვენება. ჩვენი დასკვნები კი უფრო ფრთხილი იყო; საჭიროა ტემპიანი თამაშის რაციონალურად შეხამება ტემპის შენელების, ბურთის შეკავების უნართან. საერთოდ მომავალი ეკუთვნის თამაშის ცვლილებადი ტემპით წარმოების უნარს.

ფეხბურთის განვითარების ყველაზე სწორ გზად ჩვენ მიგვაჩნდა ორივე სკოლის — ლათინურამერიკული და ევროპული სკოლების საუკეთესო მხარეთა რაციონალური შეხამება.

დაიწყო მსოფლიოს IX ჩემპიონატი მექსიკაში, და ჩვენ ვნახეთ ახალი და თითქმის სრული გამარჯვება ლათინურამერიკული მანერისა.

ოთხიდან სამი პრიზიორი — ბრაზილია, იტალია, ურუგვაი ლათინურამერიკული ფეხბურთის ტიპიური და ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლები აღნარ. ევროპული სკოლის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა დიდი გაჭირვებით, არაჩვეულებრივ ღონისძიებათა ფასად მოიპოვა ადგილი უძლიერესთა ოთხეულში, მაგრამ ინგლისის ჩემპიონატთან შედარებით იძულებული იყო... ერთი საფეხურით დაბლა დამდგარიყო. იგივე ბედი — ინგლისში მოპოვებული პოზიციების დაკარგვა — ეწია VIII ჩემპიონატის სამ პრიზიორს. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონებმა ინგლისელებმა გადაინაცვლეს მე-8 ადგილზე, ბრინჯაოს პრიზიორმა სსრ კავშირის გუნდმა — მე-5 ადგილზე, ხოლო პორტუგალიის ელთა ყველა წარმატება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდების წარუმატებლობანი აკუსნაა მხოლოდ იმით, რაც ზემოთ ვთქვით, მაგრამ დაახლოებით თანაბარი კლასის გუნდების შეხვედრისას განდიკაპის რაღაც წილი უთუოდ გამოუდიოდათ იმ გუნდებს, რომლებიც დაუფლებული არიან თამაშის არიტმიას, უნარი აქვთ შექმნან დასვენების პაუზა ბურთის თავისთან შეკავებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უპირატესობა აქვს ორივე სკოლის საუკეთესო მხარეების რაციონალურ შეხამებას, იმ თამაშს, რომელიც დაფუძნებულია შედმივ სწრაფ იერიშებზე, ფართო მანევრებზე, ელვისებურ კონტრიერიშზე, დიდ შრომისუნარიანობაზე. ყოველივე ამასთან ლათინური სკოლისაგან უეჭველად უნდა გადმოვიღოთ მაღალი ტექნიკა, თამაშის მდიდარი ფანტაზია, ტაქტიკური ჩანაფიქრის ადვილად და შემოქმედებითად განსორციელება. მომავალი შემოქმედებითს, შემტევ ფეხბურთს ეკუთვნის.

ასეთს ვხედავთ ხვალინდელ ფეხბურთს, ასეთს ვხედავდით ბრაზილიელთა ბევრ ეპიზოდს დღეს. გაიხსენეთ გერსონისა და რიველინოს თამაში, მათი გრძელი გადაცემები ფლანგებზე. ელვისებური კონტრიერიშები. პირველი ბურთი, რომელიც პელემ ფინალურ მატჩში გაიტანა, თამაშის მთელ რიგ სხვა ეპიზოდთან შეხამებით მოწმობს ისა, რომ ბრაზილიელებს 1966 წლის შემდეგ ევროპელებისაგან გადაუღიათ გრძელი ჩაკიდებული პასი, გრძელი გადაცემებით ტემპის გაცხოველების უნარი. ანდა გაიხსენეთ კ. ალბერტო და რიველინო.

ეს ყველაზე ძვირფასია ბრაზილიელთა თამაშში. მათ შეუსისხლხორგუნდს არ გამოუჩენია საკმაო ნებისყოფა, რომ გამარჯვებისათვის მიეღწია. ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ ჩვენი ფეხბურთელები არ იჩენდნენ ინიციატივას., გამომჭიდროებლობას, თამაშის ფანტაზიას და მოქმედებდნენ უფიქრელად, შაბლონით. ფეხბურთი უწინარეს ყოვლისა თამაშია და არა მძიმე სამუშაო. და ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანდა ბრაზილიელთა, იტალიელთა, რუმინელთა, პირველთა თამაშის მაგალითით, რომლებიც მოქმედებდნენ თავისუფლად და ძალდატანებულად ყველაზე რთულ და მძაფრ სიტუაციებში.

ჩვენს გუნდში არ ჩანდა ერთ ჯანსაღ კოლექტივად შეკავშირება. ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეწყოთ გუნდის შეკავშირებისათვის, მასში სათანადო ფსიქოლოგიური განწყობილების შექმნისათვის, რაც არა მარტო მწვრთნელის, არამედ ჩვენი საზოგადოებრიობის საქმეა, ცალკეული პირები ზოგჯერ, განწირან თუ უამისოდ, ხელს უშლიდნენ ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას გუნდში. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვან მაგალითს. მექსიკაში თამაშების დაწყების ცოტა ხნის წინ სსრ კავშირის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ნ. მოროზოვმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აშკარად დამახინჯებულად შეაფასა საქართველოდან წაყვანილი ფეხბურთელების თამაში 1966 წელს ინგლისში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში. მაგალითად, მან გააბიბარა ს. მეტრეველის თამაში პორტუგალიელთან შეხვედრაში. ეს აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენ თვითონ ვნახეთ, რომ ამ მატჩში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და ამასთან სწორედ მან გაიტანა ერთადერთი ბურთი პორტუგალიელთა კარში. იგივე აღნიშნა თითქმის ყველა მიმმხილველმა. მოროზოვის სტატია გამოჩნდა იმ მომენტში, როცა ვეტერან მეტრეველს, რომელიც შეყვანილი იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში, გამხნევება ესაჭიროებოდა. რა თქმა უნდა, ყოფილი მწვრთნელის აზრს, რომელსაც ამჟამად ფეხბურთში საქმე აღარა აქვს, არ შეეძლო რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონოდა, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად აღმაშფოთებელია. კოლექტივის შეკავშირება ძალიან ძნელი საქმეა, ამას თვეები და წლები ესაჭიროება, უპასუხისმგებლო გამოსვლებითა და გამოთქმებით უთანხმოების შეტანა კი ძალიან ადვილია.

მექსიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის თამაშებში ჩვენ ვნახეთ თავდაცვითი ტენდენციის, ნეგატიური თამაშის მარცხი. ისეთ გამოცდილ მწვრთნელსაც კი, როგორიც რამშპმა, ძვირად დაუჯდა, როცა ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის შეხვედრაში მან, ანგარიში 2:0 რომ იყო ინგლისელთა სასარგებლოდ, მატჩის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე თავისი გუნდი თავდაცვაზე გადაიყვანა, დაივიწყა რა ის ჭეშმარიტება, რომ საუკეთესო დაცვა თავდასხმა.

მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში დაცვის ხაზის თითქმის ყველა მოთამაშე ახლა აქტიურად მონაწილეობს იერიშებში. სსრ კავშირის ნაკრების მცველები კი, პირსონალური დავალებებით შებოჭილნი, მხარს არ უჭერდნენ თავიანთ თავდამსხმელებს, რაც ძალას უკარგავდა იერიშებს და უარყოფითს გავლენას ახდენდა ნაკრების თამაშის საერთო სტილზე.

უნდა ვიოლაპარაკოთ ცალკეულ შედომებზეც შემადგენლობის გამოყენებაში, ცალკეული მოთამაშეებისადმი ტაქტიკურ დავალებებში, მოთამაშეთა შეცვლაში. ეს ყველაფერი კერძო მხარეებია, მაგრამ მათ არ შეიძლებოდა მნიშვნელოვანი როლი არ შეესრულებინათ. მაგალითად, მიმმხილველთა თითქმის ერთსულოვანი აზრით და ჩვენი აზრითაც ურუგვაისთან მატჩში სრულიად მოულოდნელად და უსაფუძვლოდ შეცვალეს ასათიანი, მაშინ როცა სხვა ნახევარმცველები გაიცლებით უფრო სუსტად თამაშობდნენ. ამასთან ყველაფრით ჩანდა, რომ ეს შეცვლა უფროსი მწვრთნელის ბ. ბ. კაბასინის ინიციატივით არ მომხდარა. უფროსი მწვრთნელი პასუხისმგებელი პირია და მას ყველაზე მეტიც მოეკითხება. მაგრამ მოდით თვალი გავუსწოროთ სამართლეს. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წარუმატებელი გამოსვლა შედეგია საერთო ნაკლოვანებებისა. ჩვენი ფეხბურთის განვითარების საქმეში და, თუ უფროსი მწვრთნელის მოქმედება კრიტიკულად უნდა განვიხილოთ და მას დაშვებულ შეცდომებზე მივუთითოთ, მთავარი, პრინციპული საუბარი მაინც უნდა ვაიმართოს მთლიანად ჩვენი ფეხბურთის შემდგომი განვითარების გზების შესახებ. გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებებს ამ საკითხებზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ამსტერდამში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვაუთათვის. გათამაშდა 6 ტური. მეექვსე ტურში ბ. სპასკიმ შავებით დაამარცხა იუგოსლავიელი მოჭადრაკე ინნოშევიჩი. შოლია (ჰოლანდია)-გელერის პარტია ყაიმით დამთავრდა. გლეგორიჩ-პოლუგაევსკის პარტია გადაიდო.

სამი რეკორდი

ორიოლში ახალგაზრდა მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობდა 650 სპორტსმენი, დამყარებულია ჩვენი ქვეყნის სამი ახალი რეკორდი. ერთ-ერთი ასეთი რეკორდის ავტორი გახდა 17 წლის სტუდენტი ს. კოროობოვი (რსფსრ). მან ურო ტყორცნა 66 მეტრსა და 96 სანტიმეტრზე. სსრ კავშირის რეკორდსმენობა დაიმსახურა აგრეთვე 16 წლის სმოლენსკელმა ა. გრიკოვმა. რსფსრ-ის მორბენლებმა — გ. ვაინგარტენმა, თ. ბებენინამ, ო. დვირნამ და ნ. მუშტამ ესტაფეტაში 4X400 მეტრზე აჩვენეს დრო — 3 წუთი და 48,7 წამი. ესეც ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდია.

კალათბურთის ფართან

მესინაში გრძელდება კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა გუნდმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად დაამარცხა იტალიის გუნდი 62:38 (31:15).

მუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა კალათბურთში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიევის „სტროიტელის“ გუნდს შორის. წარმატება ჩვენი ქვეყნის ახალ ჩემპიონებს — არმიელ კალათბურთელებს ხვდათ 84:70.

„ბ“ კლასის მეორე ზონაში

გაიმართა „ბ“ კლასის მეორე ზონის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე. აი მათი შედეგები:

„კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (სოხუმი) 4:1, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 2:1, „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი)—„მეშახტე“ (ტყიბული) 0:1, „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) — „სულორი“ (ვანი) 2:1, „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:0, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „კოლხიდა“ (ფოთი) 1:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0.

კომუნისტი ᲒᲐᲖᲗᲘᲡ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

11.00 — უმაღლეს სასწავლებლები შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.00 — გერმანული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „შეხვედრები“ (მესამე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ვისკი და გველის შხამი“ (ქართულ ენაზე), 18.30 — განცხადებები, 18.35 — ბავშვებისათვის „გაბედული ფოტომონადირე“, 18.55 — „მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში“, 19.10 — სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.35 — „თბილისელი ქურთი პოეტები“, 20.00 — „გადაცემა „რასაც დათესავ“, 20.50 — „კალთბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — „დინამო“ მოსკოვი. მეორე ტაიმი, 21.40 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ბრილიანტის ხელი“.

ᲙᲘᲜᲝ

22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ოქტომბერი — **განთავისუფლება** (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტ